საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
საქართველოს

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 3397/01
06/04/2021

3397-01-2-202104061512

ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას

გაცნობებთ, რომ 2021 წლის 30 მარტს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში ი/მ ელგუჯა კუპატაძის მიერ წარმოდგენილ იქნა ქ. ქუთაისში, პლასტმასის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

სკრინინგის განცხადების შესახებ ინფორმაცია, თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად განთავსებულია სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე (იხ. ლინკი https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/31677). გთხოვთ, როგორც დოკუმენტაციის, ისე საპროექტო ტერიტორიის (ზონირება) და მასთან დაკავშირებული შეზღუდვების/აკრძალვების შესახებ შენიშვნებისა და მოსაზრებების წარმოდგენა უზრუნველყოთ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში 2021 წლის 14 აპრილის ჩათვლით. მისამართზე: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N6, ან ელ. ფოსტის მისამართზე: eia@mepa.gov.ge. მითითებულ ვადაში შენიშვნების/მოსაზრებების წარმოუდგენლობის შემთხვევაში სამინისტროს მიერ მიღებული იქნება შესაბამისი გადაწყვეტილება.

გიგზავნით აღნიშნული პროექტის შესახებ ინფორმაციას თანდართული დოკუმენტაციის სახით. გთხოვთ, უზრუნველყოთ ზემოაღნიშნული განცხადების განთავსება თქვენი აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფასა და ოფიციალურ ვებგვერდზე და წარმოგვიდგინოთ აღნიშნულის დამადასტურებელი

ფოტომასალა.

დანართი: ტექსტის თანახმად.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე